იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველო“ და

ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკული წერილი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

დავალების პირობა: გაეცანით ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკულ მოსაზრებას[1] იაკობ ნიკოლაძის ქანდაკების შესახებ და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ საკითხებზე.

„მწუხარე საქართველო“ ძაძაში გახვეულ ქართველ ქალს განასახიერებს. ქანდაკების დადგმაში უდიდესი სევდა იგრძნობა, რაც გამოხატულია ფიგურის აგებასა და სამოსის დრაპირებაში. თუმცა, ჩემი აზრით, ქანდაკება ვერ გადმოსცემს იმას, რაც ქართველმა ერმა განიცადა წიწამურთან. იაკობ ნიკოლაძემ მხოლოდ სევდა გადმოგვცა, მაგრამ ქართველი ერის განცდაში შურისძიების წყურვილიც იყო. ეს იყო ერის გოდება მრისხანების ფორმით გადმოცემული. საქართველომ ილია ჭავჭავაძე გამოიტირა, რადგან ილია საქართველოს „რკინის კარები“ იყო. იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებაში წუხილის სიმძაფრე ჩანს, მრისხანება, კი, არა.

მხატვრული თვალსაზრისით, „მწუხარე საქართველო“ ოსტატურად არის შესრულებული, მაგრამ მას აკლია მონუმენტურობა. თუმცა იმდენია მასში უძრაობა, რომ ამ ნაკლს ისყიდის. მახსოვს ის რეცენზიები ამ ძეგლის შესახებ რომ დაიწერა ჟურნალისტების მიერ, რომლებმაც ალიაქოთი და უკმაყოფილება გამოიწვია. ეს უცოდინარი ხალხის ხმაური იყო. მათი უკმაყოფილება სამართლიანი იყო, მაგრამ უცოდინარობა უმიზეზობაში გამოიხატა. მიზეზს თვით ქანდაკებაში ეძებდნენ, სინამდვილეში კი სხვაგან იყო. აი ნამდვილი მიზეზები:

1. პლასტიკის ატმოსფეროს არქიტექტურა ქმნის. თანამედროვე ძეგლი, თანამედროვე არქიტექტურის შესაფერისია. ჩვენ, თანამედროვე არქიტექტურა არ გაგვაჩნია. ამიტომ ძალაუნებურად, მეთორმეტე საუკუნის სტილში მოექცა მეოცე საუკუნის იმპრესიონისტული მონუმენტი.
2. ფიგურას ადგილი უნდა ჰქონდეს, რათა სივრცეში გადმოიცეს. აქ ეს მომენტიც მოშლილია. თეთრ ქვებში თალხი წითელი მარმარილო, და ამ ფონზე ბრინჯაოს ხავსისფერი ფიგურა შეუფერებელია. სიმეტრიაც დარღვეულია. ეს წითელი კარი მეტად მაღალია და ქანდაკებას აპატარავებს. თანაც ფიგურა გეომეტრიული სხეულივით არის კედელზე მიდგმული.
3. მხრის არჩევა მეტად უხერხულია. ქანდაკებას მზე არ ხვდება. ხოლო ვინც იცის ქანდაკების ელემენტარული მოთხოვნები, ის მიხვდება ამ დიდ შეცდომას. ქანდაკება ჩრდილისა და შუქის კომპოზიციაა. ადგილის არჩევის ბევრი ვარიანტი არსებობდა. კლდის მოწოლა კედლით უნდა შეჩერებულიყო. თუმცა კედელზე მიადგეს ქანდაკება. მზე კი, რაც ქანდაკების მთავარი ფაქტორია, სულ არ ხვდება, რაც ფერს ღირებულებას უკარგავს. მზის სხივები ფიგურას ერთ მთლიანობად აქცევს. ჩრდილში კი ფორმის კონტურები იკარგება.

---

1. [1] ტექსტი ადაპტირებულია მოსწავლეებისთვის. იხ. სტატიის ორიგინალი ვერსია: ჟურნალი „კავკასიონი“ N1-2, გვ. 203-204, 1924 წ.

4. ფიგურა არ დგას არქიტექტურისგან განცალკევებულად, მაგრამ არც თანხვედრაშია. რაც შეეხება მანერას, იგი არქაულია. კედელზე მიყუდებული სხეული ძველი მანერაა. ეკლესიის კედლებზე და სატრიუმფო თაღებზე სწორედ ასე აქანდაკებდნენ. ეს თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ ახალი ძეგლები მრგვალ ქანდაკების პრინციპით არის აგებული. ფიგურას ეკრძალება არქიტექტურასთან დაახლოება, რასაც მსხვერპლად ეწირება აუარებელი პლასტიკა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს ძეგლი არის იაკობ ნიკოლაძის ნიჭის გამოხატულება, ხოლო თავისი ესთეტიკური ღირებულებით - ერთადერთი საქართველოში.

სამუშაო ფურცლები

მაპროვოცირებელი კითხვა: რა იყო მოულოდნელი და საინტერესო თქვენთვის მოცემულ ტექსტში?

საკითხი N1 არქიტექტურისა და ქანდაკების ურთიერთმიმართება

1. ეთანხმებით თუ არა ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებას ქანდაკებისა და არქიტექტურული ნაწილის შეუფერებლობის შესახებ? რატომ?
2. თქვენი აზრით, იდეურად და ესთეტიკურად დასაშვებია თუ არა შუა საუკუნეების არქიტექტურული ფორმისა და მრგვალი ქანდაკების ერთ სივრცეში არსებობა? რატომ?
3. პრეზენტაციის დახმარებით იმსჯელეთ მემორიალური ძეგლის ესკიზებზე. მსჯელობისას ყურადღება გაამახვილეთ ქანდაკებისა და არქიტექტურული ნაწილის ურთიერთმიმართებაზე.

საკითხი N2 ქანდაკების განთავსების ადგილი

1. ეთანხმებით თუ არა ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებას, რომ კედელზე მიდგმული მრგვალი ქანდაკება სათანადოდ ვერ აღიქმება?
2. რას იტყვით ქანდაკებისა და ფონის ფერადოვან გადაწყვეტაზე?
3. პრეზენტაციის დახმარებით იმსჯელეთ მემორიალური ძეგლის ესკიზებზე. მსჯელობისას ყურადღება გაამახვილეთ მხატვრულ ჩანაფიქრსა და შესრულების მანერაზე.

საკითხი N3 ქანდაკება და შუქ-ჩრდილის ეფექტი

1. ეთანხმებით თუ არა ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებას ქანდაკებისა და შუქ-ჩრდილის შესახებ?
2. რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი განათება ქანდაკების აღსაქმელად, რა მხატვრულ ეფექტს იძლევა?
3. როგორ მოქმედებს ბუნებრივი პირობები ქანდაკების მასალაზე, აზიანებს მას თუ მაყურებლის აღქმაზე ზემოქმედებს?